თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი"
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!"

ინფორმირებული არჩევნებისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებია!

იხილეთ მე-3-4 გვერდებზე

№11 (750) 22 - 28 აგვისტო , 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

ქუთაისის პერსპექტივა 2021 წლისთვის

ქუთაისი იქნება რეგიონული მნიშვნელობის, ცოდნის, მედიცინისა და კულტურის ქალაქი

ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ ქალაქის განვითარების სტრატეგიული პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო. ქუთაისის სტრატეგიული განვითარებს ხუთწლიანი გეგმის გამოწვევები და მიზანი მიმართულია იქითკენ, რომ ქალაქს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული ფუნქცია რეგიონში. განხილვა საჯარო იყო და მას ესწრებოდნენ, როგორც მერიის სამსახურებისა და საკრებულოს წევრები, ასევე არასამთავრობო სექტორი და მედიის წარმომადგენლები.

„P.S. ფოტო" ©

პროგრამა 2021 წლამდეა გაწერილი და მასში ცვლილებების შეტანა სამომავლოდაც შესაძლებელია. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით დვალმა განაცხადა, დოკუმენტს საკრებულო ახლოეს სხდომაზე განიხილავს, თუმცა ასევე იგეგმება მისი წარდგენა მთავრობის სხდომაზე.

პროგრამაში ძირითადად აქცენტი კეთდება — ქუთაისში განათლების, მედიცინის, კულტურისა და ტურიზმის სფეროთა განვითარებაზე. მასში გამოიყო 10-ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება, რომლებიც შემდეგ იშლება სხვადასხვა, ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებად.

ქუთაისის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს: მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას; განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას; ქუთაისის რეგიონის მთავარ საუნივერსიტეტო ქალაქად ჩამოყალიბებას; ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სკოლა-პანსიონის აღდგნას თანამედროვე სტანდარტებით; არგონავტიკის მუზეუმისს შექმნას; ბრენდული სასტუმროების მოზიდვას ქუთაისში; ტურისტული საფეხმავლო ხიდის მშნებლობას მდინარე რიონზე და ა.შ. ამ სტრატეგიული გეგმის მიზანია ქუთაისის, როგორც ლიდერი ქალაქის ფუნქციიის გაძლიერება.

შოთა მურღულიას განცხადებით, წარმოდგენილი გეგმა რეალურია. ზოგიერთი პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია, დანარჩენი კი 2021 წლისთვის დასრულდება. 2021 წელს ქუთაისი იქნება რეგიონული მნიშვნელობის, ცოდნის, მედიცინისა და კულტურის ქალაქი.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სხვადასხვა პროექტს ფინანსურად უზრუნველყოფს: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო ფონდები,კერძო კაპიტალი, მსოფლიო ბანკი.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური

ლიკა დევდარიანი

ქუთაისში 11 სტენდი ელოდება პარტიების სააგიტაციო პლაკატებს

საქართველოში ჩატარებული არჩევნების პრაქტიკამ აჩვენა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში აქტუალუარია პარტიების მიერ სააგიტაციო მასალების განთავსების პრობლემა, რის აღმოსაფხვრელადაც ცეტრალურმა საარჩევნო კომისიამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ რამდენიმე ღონისძიება გაატარა. გაზეთი P.S. დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქუთაისში.

„P.S. ფოტო" ©

2016 წლის 13 ივნისს ქუთაისის მერიამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილები. "ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გაკვრა აკრძალულია საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე არსებულ გარეგანათების ბოძებზე..." ქალაქის მასშტაბით დადგმულია 11 სტენდი, სადაც უნდა განთავსდეს ყველა პარტიის სააგიტაციო პლაკატი.

გაზეთი P.S. დეტალების დასაზუსტებლად ქუთაისის მერიის პრეს-სამსახურის უფროსს, ეკა მამისეიშვილს, გაესაუბრა.

– როდის განთავსდა ქუთაისში პირველად მსგავსი ტიპის სტენდები?

– სტენდები სპეციალურად ამ არჩევნებისთვის არ დადგმულა, ისინი რამდენიმე წლის წინ განთავსდა ქალაქში და პარტიები იყენებდნენ მას წინა არჩევნებზეც.

– არის თუ არა ეს სტენდები საკმარისი პარტიების რაოდენობბის გათვალისწინებით?

– ვთვლით, რომ საკმარისია, ვინაიდან დაემატა მხოლოდ ორი სააგიტაციო ადგილი, ქალაქ ქუთაისის მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკი და ხარაზოვის ბაღში არსებული შენობა, სტენდების რაოდენობა კი უცვლელი დარჩა. აუცილებლობის შემთხვევაში სტედებსაც დავამატებდით.

– იმ შემთხვევაში თუ დაირღვა სააგიტაციო მასალის განთავსების წესი, რა ზომებს მიმართავს ქუთაისის მერია?

– ამ შეთხვევაში პარტიას ჯარიმის სახით დაეკისრება 50 ლარი, წინა არჩევნებზე იყო შემთხვევა, როცა კანონი დაარღვია ერთმა პარტიამ, საქმე გადაეცა სასამართლოს და დაჯარიმდა 50 ლარით.

დაველოდოთ, 2016 წლის არჩევნები ამ მხრივ განსხვავებული იქნება თუ არა...

მეგი კაკაბაძე.
ლიკა დევდარიანი

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

მილოცვა

ზაკო — ამ სპორტული ზედსახელით იცნობენ ზაურ გოგუაძეს, „ტორპედოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველს. ეს არის ბურთთან ერთად დაბადებული ბიჭი, რომელიც სტადიონს აცოცხლებს, — ამბობენ ქუთაისელი და არამარტო ქუთაისელი ფეხბურთის მოყვარულები.

ზაკოს ბურთით გატაცება ბავშვობის ადრეული ასაკიდან დაიწყო და ეს გატაცება მის ბაბუას, მის მოსახელეს — ზაურ გოგუაძეს უკავშირდება. ეს მან „მოწამლა“ პატარა ბიჭი ბურთით, სტადიონით და ქართული ფეხბურთით.

ბაბუა ზაური აღარ არის, ზაკო კი აგრძელებს იმ ლამაზი ოცნების რეალიზებას, რომელიც თან გაიყოლა მისმა საყვარელმა ბაბუამ. ვარჯიშობს ყველგან და ყოველთვის, მარტო და გუნდთან ერთად. მწვრთნელის, კობა ჯორჯიკაშვილის შექება, შეძახილი მისთვის ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარია.

„ჩემი ოცნების გუნდი მადრიდის რეალია, მაგრამ უდიდესი ბედნიერება იქნება თამაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში,“ — ამბობს ზაურ გოგუაძე. მან კარგად იცის, რომ აღიარება ადვილად არ მოდის. ამ ყველაფეს თავდაუზოგავი ვარჯიში, მწვრთნელის და გუნდის თანადგომა სჭირდება. წარმატებისაკენ სავალი გზა მოითხოვს დაბრკოლებების გადალახვას, სულიერების შენარჩუნებას და რწმენას იმისას, რომ თუ მცდელობას არ დააკლებ, აღიარება აუცილებლად მოვა!

და მაინც, „ბაბუასთან ერთად უფრო ძლიერი ვიქნებოდი, უფრო მეტს შევძლებდი!“ — ამბობს ახალგაზრდა ფეხბურთელი, იქნებ ქართული ფეხბრთის ხვალინდელი ვარსკვლავი.

12 აგვისტოს ზაკო, ზაურ გოგუაძე, 20 წლის გახდა. ბედნიერ დაბადების დღეს და წარმატებულ კარიერას ვუსურვებთ!

თამარ ციცვიძე

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.
ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „*P.S.*“
(„პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „*P.S.*“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

კახა კალაძე:

„არჩევნებში ჩვენი გამარჯვება, საქართველოს მოსახლეობის, ქართული დემოკრატიის გამარჯვება იქნება!“

პარტია „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს განახლებული შემადგენლობით ხვდება. ახალი სახეები გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩიეს პრინციპით _ ახალ გამოწვევებს პარტია ახალი მუხტით უნდა დახვდეს. ახალ გამოწვევებამდე მნიშვნელოვანი არჩევნებია. „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, კახა კალაძის შეფასებით, 2016 წლის 8 ოქტომბერი კიდევ ერთი, გადამწყვეტი ეტაპია _ საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები შეუქცევადია. ამ ფონზე, ვიცე-პრემიერი აცხადებს, რომ დღეს „ოცნების“ მთავარი საზრუნავი, კანონიერ გარემოში, დემოკრატიული არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაა.

ორგანიზატორული ნიჭი, მენეჯერისა და ლიდერის თვისებები, გამოცდილება _ ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რის გამოც, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, პარტია „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად კახა კალაძე დასახელდა. ვიცე-პრემიერი თავად განმარტავს, რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებზე „ოცნების“ დამოუკიდებლად გასვლას, რატომ გადაწყდა პარტიის შემადგენლობის გადახალისება, როგორ აპირებს მმართველი ძალა მოსალოდნელი პროვოკაციების აღკვეთას და რა მოლოდინი აქვთ „ოცნებაში“ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

_ ბატონო კახა, „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. კოალიციის დაშლამ არჩევნებზე როგორ შეიძლება იმოქმედოს?

_ კოალიციის დაშლა ტრაგედია ნამდვილად არ არის. ყოველთვის ვამბობდი, ჩვენ გაერთიანებაში გაწევრიანებული იყო სხვადასხვა მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის პარტიები. ამ ფონზე, არჩევნებზე დამოუკიდებლად გასვლა, დემოკრატიის განვითარებისთვის, პირიქით, დროული და საჭიროა. უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინოდ გამოჩნდება, ხალხი რეალურად ვის უჭერს მხარს.

_ პარტია დღეს განახლებული შემადგენლობითაა. რატომ და რა პრინციპით შეარჩიეთ ახალი სახეები?

_ ახალი სახეები შერჩეულნი არიან პროფესიონალიზმით, გამოცდილებით, ქვეყნის სამსახურში ყოფნით. დარწმუნებული ვარ, ისინი დიდ წვლილს შეიტანენ ქვეყნის განვითარებასა და პროგრესში. ისინი პარტიაშიც ახალ მუხტს შემოიტანენ. `ქართულმა ოცნებამ~ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ განაცხადა პარტიის რიგების განახლების პროცესის დაწყების შესახებ. დღეს ჩვენ ახალი გამოწვევების, პერსპექტივების წინაშე ვდგავართ, რასაც ახალი სახეებით ვხვდებით. ეს, პარტიის მუშაობის ეფექტურობისთვის, არა მარტო საარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

_ წინასაარჩევნოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სტაბილური გარემოცაა. დარწმუნებული ხართ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდება?

_ რა თქმა უნდა. „ქართული ოცნების“ დაარსებიდან პირველად ხდება, რომ საპარლამენტო არჩევნებს სტაბილურ გარემოში თავად ვატარებთ. ჩვენი ხელისუფლების პირობებში არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს აქვს შესაძლებლობა, თანაბარ პირობებში უთხრას ხალხს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის და როგორ ხედავს ჩვენს ერთობლივ მომავალს.

_ ანუ, პროვოკაციებს არ ელით? უახლოეს წარსულში „კორცხელის ინციდენტის“ მოწმენი გავხდით და გამორიცხული არაა, მსგავსი სცენარის განვითარებას საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიცია ისევ გეგმავდეს.

_ სამწუხაროდ, ნაცმოძრაობამ კორცხელში შეძლო პროვოკაციის მოწყობა, რისიც დიდი გამოცდილება და მრავალჯერადი პრაქტიკა აქვთ. პოლიტიკაში მოსვლისთანავე მოვუწოდებდი ყველას, აგვეყვანა პოლიტიკური ურთიერთობები ახალ, ცივილურ საფეხურზე _ მორალი ყოფილიყო ხალხთან ურთიერთობის, ერთმანეთთან ოპონირების მთავარი განმსაზღვრელი. წინა კარიერა რა ღირებულებებითაც გავიარე, იგივე ღირებულებებით მოვედი პოლიტიკაში და ვერანაირი ამორალური, ლოგიკისა და ღირსების, ხშირ შემთხვევაში გონიერების ზღვარსმიღმა მდგარი საქციელი, უფრო სწორად _ უსაქციელობები, ჩემში განწყობას ვერ შეცვლის. ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყნის სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა როგორი ამორალურიც იყო ხელისუფლებაში ყოფნისას, იგივე ამორალურია ოპოზიციაშიც. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მათი `პოლიტიკური ბრძოლის~ მეთოდები. არ იშლიან თავის სტილს და ოპონირების ერთადერთ საშუალებად იყენებენ ცილისწამებას, სიცრუესა და მოსახლეობის დეზინფორმაციით დაზაფვრას. ეს არის პარტია, რომელსაც არც არასდროს ჰქონია არსენალში პოლიტიკური მუშაობის, ბრძოლის სხვა მეთოდი, ეს არის პარტია, რომელიც ქვებისა და ტალახის სროლით მოვიდა ხელისუფლებაში და თავის `მეორედ მოსვლა~ იგივე მეთოდებით სურს. თუმცა დღეს სხვა რეალობაა _ ხელისუფლება სხვაა, ხოლო ამომრჩეველი _ ბევრად გამოცდილი. მას ყველაფერი ახსოვს!

_ არჩევნების წინ, შიდაპროვოკაციებთან ერთად, რუსული პროპაგანდის მომძლავრებაც მოსალოდნელია... სხვათა შორის, ამაზე აშშ-ს ეროვნული დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ჯეიმს კლაპერმაც ისაუბრა, არც ისე დიდი ხნის წინ. მმართველი პარტია მზადაა, ამ გამოწვევას გაუმკლავდეს?

_ გეთანხმებით, როცა არჩევნები ახლოვდება, რუსული პროპაგანდა ყოველთვის მატულობს. ხელისუფლება არ დაუშვებს, ამან ჩრდილი მიაყენოს ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვახორციელოთ ყველა დაწყებული და დაგეგმილი რეფორმა, რათა უახლოეს მომავალში საქართველო გახდეს იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა ჰქვია. ეს ჩვენი პრიორიტეტია, რომელსაც აუცილებლად მივაღწევთ. `ქართული ოცნება~ ფორსმაჟორულ პოლიტიკურ ვითარებაში ხალხის სურვილითა და ხალხის სურვილების ასასრულებლად შეიქმნა. ჩვენ გადავლახეთ 2012 წლის ურთულესი არჩევნები, დაბრკოლებებით აღსავსე რამდენიმე წელი. არ გვიზრუნია პარტიულ კეთილდღეობაზე, რადგან ქვეყანაში ურთულესი სოციალური, ეკონომიკური ბარიერები იყო დასაძლევი, მოსახლეობა კი შიშისა და ძალადობის წნეხიდან გამოსაყვანი. ჩვენ ახალი გზა ავირჩიეთ და საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება კლანური ან სხვა სახის რეჟიმის მმართველობა. ჩვენ, ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად, ხალხის გვერდით დგომითა და ნდობის მანდატით, ჩავუყარეთ საფუძველი დემოკრატიული, ევროპული ქვეყნის მშენებლობას; ქვეყნის, რომლის მთავარი ღირებულება, თავისუფალი მოქალაქეების ერთობაა, რომლის მართვის სტილი დემოკრატიული და ტოლერანტულია. ქვეყნის, სადაც კანონის ძალით მართავს ხელისუფლება და არა ძალადობით ან განუკითხაობით. ჩვენი ლიდერია ხალხი. სწორება გვაქვს საქართველოს კონსტიტუციაზე. ჩვენი უმთავრესი ღირებულებებია თავისუფლება, ერთობა და პროგრესი. იყო დრო, პარტიის თითოეული წევრი, რეჟიმისგან დაჩაგრული მოსახლეობა, დავირაზმეთ ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ და ქვეყანაში მშვიდობიანი არჩევნებით შევცვალეთ არასასურველი ხელისუფლება. ჩვენ ყველამ ერთად, `ოცნების~ ჯარისკაცებმა, თანამედროვე საქართველოს უახლესი ისტორია ახალ ეტაპზე გადავიყვანეთ.

_ მიუხედავად იმისა, ქვეყანაში ისევ ბევრი პრობლემაა, ხელისუფლებაში „ოცნების“ 4-წლიან ეტაპს წარმატებულად აფასებთ?

_ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსასწორებელი... ყველაფერს ერთბაშად ვერ ეშველება. მთავარია, ამ 4 წელში შევქმენით ახალი რეალობა. ეს იყო უაღრესად შრომატევადი და შორსმიმავალ შედეგებზე ორიენტირებული პერიოდი. დასაბამი მიეცა სოციალურ, ეკონომიკური ფონის მოწესრიგებას, დიდ თუ მცირე წამოწყებებსა და პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკურ ზრდას, საზოგადოების სამოქალაქო შეგნების ამაღლებასა და განვითარებას. `ქართული ოცნების~ ძალისხმევით, ამ 4 წელში, შეუქცევადი გახდა ჩვენი ქვეყნის დასავლური კურსი. გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით. იმავდროულად, ხელისუფლების პრაგმატული პოლიტიკით, მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი ქვეყნის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხარისხი. ჩვენ მოსახლეობას წარვუდგენთ იმ გაკეთებული საქმეების ანგარიშს, რის საფუძველზეც ამომრჩეველი თავად განსაზღვრავს, ვიმსახურებთ თუ არა მათ ნდობასა და მხარდაჭერას. ყველაზე მთავარი, დაიგეგმა და დაიწყო მთელი რიგი რეფორმები, რომელიც მიმართულია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევაზე, მოქალაქეების დასაქმებასა და რაც მთავარია, ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე!

_ და როგორც საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, როგორი მოლოდინი გაქვთ, იმსახურებთ ხალხის ნდობის მანდატის კიდევ 4 წლით გახანგრძლივებას?

_ დღეს პარტია „ქართული ოცნება“ საქართველოში ერთადერთი ძალაა, რომელსაც ძალიან დიდი შანსი და შესაძლებლობა აქვს, არჩევნები ძალიან დიდი უპირატესობით მოიგოს. ამისთვის ჩვენი პარტიული რესურსის სრულ მობილიზებას მოვახდენთ. უმნიშვნელოვანესი არჩევნები გველის. დარწმუნებულები ვართ, ამომრჩევლის მხარდაჭერით გავიმარჯვებთ და ეს, მხოლოდ `ქართული ოცნების~, მხოლოდ ჩვენი პარტიის ან მისი წევრების კი არა, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის, ქართული დემოკრატიის გამარჯვება იქნება.

ჩვენ შეგვწევს უნარი, შევქმნათ ახალი პოლიტიკური კულტურა, ახალი პოლიტიკური სტანდარტი ქვეყანაში. ჩვენი ვალდებულებაა, ხელი შევუწყოთ ხელისუფლების შტოების გაძლიერებას. სრულიად განახლებული პარტია, მოტივირებული, პროფესიონალი ადამიანების საშუალებით შეუდგება ჩვენი ოცნებების რეალიზებაზე მუშაობას. ჩვენ გვაქვს მოტივაცია და შეგვწევს ძალა, ყველა რესურსის მობილიზებით ამას მივაღწიოთ!

გპირდებით, „ქართული ოცნება“ არჩევნებს დემოკრატიულ, სამართლიან, თავისუფალ და მშვიდობიან გარემოში ჩაატარებს. არავის მივცემთ უფლებას, პროვოკაციული და დესტრუქციული ქმედებებით ჩრდილი მიაყენონ საპარლამენტო არჩევნებს. ჩვენ დავანახებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები შეუქცევადია. „ქართული ოცნება“ ხაზგასმით აცხადებს, რომ ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, არ დავუშვათ აგრესია და ძალადობა საარჩევნო პროცესში. ეს არ არის ჩვენი მართვის სტილი და არც არავის მივცემთ უფლებას, წარსულში აპრობირებული სცენარებით საარჩევნო პროცესს ჩრდილი მიაყენოს!

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

ვის ვირჩევთ

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება 8 ოქტომბერს.

საქართველოს პარლამენტი 4 წლის ვადით აირჩევა. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი ხმა მიიღო. საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5 პროცენტისა.

არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები

"სახალხო ხელისუფლება";
"დავით თევზაძე _ საქართველოს მშვიდობისთვის";
"ზვიადის გზა _ უფლის სახელით";
"საქართველოს კომუნისტური პარტია _ სტალინელები" (ივანე წიკლაური)";
"საქართველო";
"ჩვენი სამშობლო";
"სახალხო პარტია";
"ევროპელი დემოკრატები";
"საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია";
"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა";
"საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია";
"ნეიტრალური საქართველო";
"დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი _ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი";
"შალვა ნათელაშვილი _ საქართველოს ლეიბორისტული პარტია";
"ცენტრისტები";
"დემოკრატიული მოძრაობა _ ერთიანი საქართველო";
"ირაკლი ალასანია _ თავისუფალი დემოკრატები";
"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";
"ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო";
"ქრისტიან კონსერვატორები";
"მერაბ კოსტავას საზოგადოება";
"ახალი მემარჯვენეები";
"ჯონდი ბაღათურია _ ქართული დასი";
"ეროვნული ფორუმი";
"უსუფაშვილი _ რესპუბლიკელები";
"ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი";
"თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის";
"ხათუნა მაჭავარიანი _ "ქალთა პარტია";
"ქართული იდეა";
"კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე _ მემარცხენე ალიანსი".

ვის შეუძლია არჩევნებში ხმის მიცემა

საარჩევნო ხმის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს.

არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციალურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრულ დაწესებულებაში.

გადაამოწმე საკუთარი თავი საარჩევნო სიაში

მოქალაქეებს საარჩევნო სიაში თავის გადამოწმება სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულ რეჟიმში შეუძლიათ.

სიებში თავის გადამოწმება **ვებგვერდზე _ voters.cec.gov.ge** მარტივადაა შესაძლებელი _ ამომრჩევლებმა უნდა შეიყვანონ 11-ნიშნა პირადი ნომერი, სახელი და გვარი, გაიარონ უსაფრთხოების ზომები), ხოლო იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ, საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა მიმართონ, სადაც დახმარებას გაუწევენ.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ქ" ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ ამომრჩეველთა საარჩევნო სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საარჩევნო პერიოდში მათთვის გასაგებ ენაზეც არის განთავსებული.

ამომრჩევლები საზღვარგარეთ

საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, ასევე რეფერენდუმში.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ:

_ კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფ ამომრჩევლებს, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე;

_ ამომრჩევლებს, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოებში მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე ამომრჩევლები, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა, რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს ცესკო-ს. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა, ამომრჩეველი თავისუფლდება საკონსულო აღრიცხვისთვის დაწესებული საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან.

წყარო: cesko.ge

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი "ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის" ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

შშმ ამომრჩევლები

ცესკოში შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის კოორდინირებულ საქმიანობას ახორციელებს ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს ცესკოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დებულებით.

შშმ პირთა მიმართ გასახორციელებელი საქმიანობები გათვალისწინებულია ცესკოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივით, 2015 წელს ცესკოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს (მერია), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმის ხელმომწერმა ინსტიტუციებმა აიღეს ვალდებულებები, რომ 2016 წლის მორიგი საპარლამენტო არჩევნებისთვის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მაქსიმალურ ხელშეწყობას და შეასრულებენ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობის გამოყოფას, რომელიც ყველა ამომრჩევლისთვის იქნება ხელმისაწვდომი; ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობის, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირების ვალდებულებას, ყველა ამომრჩევლისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

შშმ ამომრჩევლებისთვის კენჭისყრის დღეს ხელმისაწვდომია

✓ მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის _ ყველა საარჩევნო უბანზე გამადიდებელი ლინზა;

✓ ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის _ იდენტიფიცირებულ საარჩევნო უბნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები;

✓ სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის _ არჩევნებში მონაწილეობის პროცედურის შესახებ პოსტერი.

იმ შემთხვევაში, თუ ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლები მომართავენ საარჩევნო ადმინისტრაციას, ზოგიერთ უბანზე შესაძლებელი იქნება პორტატული (მოძრავი) პანდუსის განთავსება.

შშმ ამომრჩევლების ინფორმირება

ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეორგოლი ხელმისაწვდომია სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა);

საარჩევნო პერიოდში, ბანერში "საარჩევნო რუკა" განთავსებულია დეტალური ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი იმ საუბნო საარჩევნო კომისიების შესახებ, რომლებიც ადაპტირებულია (იხილეთ ბმული: http://map.cec.gov.ge).

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისთვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში, საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისთვის ხელმისანვდომობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საარჩევნო უბნებზე ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.

ცესკოს 2012 წლის 21 ივნისის #20/2012 დადგენილებით დარეგულირებული აქვს იმ კატეგორიის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის პროცედურა, რომლებიც ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებენ ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას. აღნიშნულ დადგენილებაში, ცვლილება შევიდა მიმდინარე წლის 14 ივლისს (დადგენილება #45/2016). მიღებული დადგენილების და მასში შესული ცვლილების შესაბამისად, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები:

_ არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;

_ საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში "ამომრჩევლის ხელმოწერა", აკეთებს ჩანაწერს "ფიზიკური მდგომარეობა" და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;

_ ამომრჩევლის თანდასწრებით, ბიულეტენს (ბიულეტენებს) სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა), რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში (დადგენილება #45/2016).

გარდა კანონმდებლობისა, საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად ითვალისწინებს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და ხელს უწყობს კონვენციის მიზნების განხორციელებას.

წყარო: cesko.ge

საარჩევნო სისტემები

©newyorker.com

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

მაჟორიტარული სისტემა ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა. მისი სახელი ფრანგული სიტყვა majorité-სგან წარმოდგება, რაც "უმრავლესობას" ნიშნავს. მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას, დეპუტატის მანდატებს მიიღებენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა (აბსოლუტური ან ფარდობითი) მიიღეს. მაჟორიტარული სისტემა, უმეტესად, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება, თუმცა, შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქშიც გამოყენება, როცა ხმას აძლევენ ერთიან პარტიულ სიებს. ერთმანდატიან ოლქში, ჩვეულებრივ, კენჭს იყრიან კონკრეტული პირები (არჩევანი პერსონიფიცირებულია), მრავალმანდატიანში კი ხმას აძლევენ როგორც გარკვეულ პიროვნებებს, ისე პარტიულ სიებსაც.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მსოფლიოს 90–ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის: აშშ-ი, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში. იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების უმრავლესობა, განასხვავებენ: ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას, აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას და კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას.

პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპორციული სისტემა პირველად ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს. ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში (მათ შორის: ისრაელში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში და სხვა.) მოქმედებს. ამ სისტემის გამოყენებისას, საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ნაწილდება ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით აძლევს ხმას ამომრჩეველი და როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის; მთელი ქვეყანა ერთ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, თუ დაყოფილია რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. პროპორციული სისტემის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად იწვევს არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებგავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში.

მისი დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში "ამინდს" ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას,

მთავრობის შექმნას და, შემდგომ, საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც.

თუმცა, საარჩევნო ზღურბლის დაწესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში, შეიძლება, ბარიერგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები მოხვდნენ. მით უმეტეს, რომ ზღურბლს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება.

დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური (პარტიული) სისტემა ჩამოყალიბებულია და არჩევნებში ძირითადად ორი-სამი ძლიერი პარტია მონაწილეობს, ბარიერი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე. გარდამავალი ქვეყნებისთვის კი სასურველია, რომ საარჩევნო ზღურბლის სიდიდე 3-5%-ს არ აღემატებოდეს.

წყარო: www.parliament.ge

როგორ მოვიძიოთ პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები?

ორგანიზაციამ _ "საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველო" საკუთარ ვებგვერდზე აამოქმედა ახალი ვებპორტალი (http://transparency.ge/politicaldonations), რომელზეც თავმოყრილია ინფორმაცია 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ გახორციელებული შემოწირულებების შესახებ.

ამ პორტალის საშუალებით, გამომძიებელ ჟურნალისტებს, მკვლევარებს, აქტიურ მოქალაქეებსა და ქართული პარტიების დაფინანსებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, საშუალება ექნებათ მოიძიონ და გააანალიზონ პოლიტიკური პარტიების შემომწირველებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

კონსულტაციის მისაღებად ან მედიასთან დასაკავშირებლად
დაგვირეკეთ ცხელ ხაზზე: 595 555 903.
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი: საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი